სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

98115522392625

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N250413422

რეგისტრაციის თარიღი

08.04.2025 წ

ნოტარიუსი: დიანა სვანაძე
მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. #109
ტელეფონი: 2 95 77 45

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

ორი ათას ოცდახუთი წლის რვა აპრილს მე, ნოტარიუსს დიანა სვანაძეს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: საქართველოში, ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. N109, მომმართა: ლაშა ოქრომჭედლიშვილმა.
ლაშა ოქრომჭედლიშვილმა განაცხადა, რომ არის შპს „ექსო სამგორი ჰაუზ 2“-ს (ს/ნ 405709853) ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი - დირექტორი.
ლაშა ოქრომჭედლიშვილმა განაცხადა, რომ სურს შეადგინოს მინდობილობა, რომლითაც შესაბამის უფლებამოსილებას მიანიჭებს ალექსი ოქრომჭედლიშვილს და სურს აღნიშნული მინდობილობა დაამოწმოს სანოტარო წესით. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად ლაშა ოქრომჭედლიშვილმა (დაბ. 06.06.1990წ. თბილისში, მისამართი: თბილისი, გივი ბერიკაშვილის ქ. N5, ბ. 14, პირადი ნომერი: 01027023322) მომმართა.
მე შევამოწმე ლაშა ოქრომჭედლიშვილის უფლებამოსილება. იგი უფლებამოსილია წარმოადგინოს შპს „ექსო სამგორი ჰაუზ 2“ (ს/ნ 405709853), თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B24067259, 05/06/2024 15:45:36. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ შევადგინე წინამდებარე მინდობილობაა, რომელის ტექსტიც წაიკითხა და მოიწონა ლაშა ოქრომჭედლიშვილმა და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორი ათას ოცდახუთი წლის რვა აპრილს მე, ლაშა ოქრომჭედლიშვილი (დაბ. 06.06.1990წ. თბილისში, მისამართი: თბილისი, გივი ბერიკაშვილის ქ. N5, ბ. 14, პირადი ნომერი: 01027023322), როგორც შპს „ექსო სამგორი ჰაუზ 2“-ს (ს/ნ 405709853) დირექტორი, ამ მინდობილობით უფლებას ვაძლევ ალექსი ოქრომჭედლიშვილს (დაბადებული 03.06.1958წ. საგარეჯოში, მისამართი: თბილისი, ს. დიღომი, ჰუგო ჰუპერტის ქ. N28, პირადი ნომერი: 65002005014), რათა მან განახორციელოს შპს „ექსო სამგორი ჰაუზ 2“-ს (ს/ნ 405709853) სამეწარმეო ან/და სხვა საქმიანობასთან დაკავშირებული კანონით ნებადართული და კომპანიის წესდებით განსაზღვრული დირექტორის ყოველგვარი მოქმედება, მათ შორის:

(1) მართოს და განკარგოს, კერძოდ შეიძინოს/იყიდოს შპს „ექსო სამგორი ჰაუზ 2“-ს (ს/ნ 405709853) სახელზე რიცხული ნებისმიერი უძრავი/მოძრავი ქონება, ასევე შეიძინოს/იყიდოს შპს „ექსო სამგორი ჰაუზ 2“-ს (ს/ნ 405709853) სახელით ნებისმიერი უძრავი/მოძრავი ქონება. ამ მიზნით დადოს ნასყიდობის/გადახდის განვადების შესახებ ნასყიდობის/ჩუქების/გაცვლის ხელშეკრულებები, ხელი მოაწეროს მათ, ხელი მოაწეროს თანხის მიღება-ჩაბარების აქტებს, განახორციელოს ვალდებულების რეგისტრაცია/შეწყვეტის რეგისტრაცია შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში.
(2) იყოს ჩემი, როგორც საზოგადოების დირექტორის წარმომადგენელი ყველა კომპეტენტურ ორგანოსა და დაწესებულებაში, იუსტიციის სახლში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო ინსპექციაში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტში, საქართველოს გაფორმების ეკონომიკური ზონაში, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრში, სამინისტროებში, საელჩოში, საკონსულოში, სანოტარო ბიუროში, მერიაში, აწარმოოს სასაქონლო ოპერაციები. შეიძინოს ნებისმიერი უძრავი და მოძრავი ქონება, მიიღოს საზოგადეოების სახელზე შემოსული ტვირთი და მოახდინოს ტვირთის ექსპორტი, რეექსპორტი, ტრანსპორტირება. წარადგინოს დეკლარაციები/ზედნადებები საგადასახდო ორგანოში. აწარმოოს ელექტრონული დეკლარირება. ხელი მოაწეროს ჩემს მაგივრად საჭირო დოკუმენტებს. დანიშნოს და გაათვისუფლოს საზოგადოების თანამშრომლები. გადაიხადოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადები, გასცეს ხელფასები. ისარგებლოს საზოგადოების ბეჭდით. მიიღოს და გასცეს ყველა სახის დოკუმენტაცია. აპოსტილით და ლეგალიზაციის მეშვეობით დაამოწმებინოს საჭირო დოკუმენტები.
(3) გააქირაოს/იქირაოს, გასცეს/მიიღოს იჯარით კომპანიის/მესამე პირის ნებისმიერი ქონება, მოაწეროს ხელი ქირავნობის/იჯარის ხელშეკრულებებს. ამავე კომპანიის სახელით შეიძინოს ნებისმიერი უძრავი ქონება, მოახდინოს სუბიექტის და ობიექტის რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაცია, შეიტანოს ცვლილება დარეგისტრირებულ მონაცემებში, მოახდინოს მისამართის ცვლილება, ამასთან დაკავშირებით იყოს წარმომადგენელი საქართველოს ნებისიმიერ სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებაში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის: იუსტიციის

სახლში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, იყოს წარმომადგენელი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრში, შემოსავლების სამსახურში, სანოტარო ბიუროში, ჩემი, როგორც საზოგადოების დირექტორის სახელით მიიღოს გადაწყვეტილება და მოაწეროს ხელი გადაწყვეტილებას უძრავი ქონების გაქირავებასთან და იჯარის ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით, ხელი მოაწეროს გადაწყვეტილებებს, ხელშეკრულებებს, მიღება ჩაბარების აქტებს, ოქმებს, თანხმობებს, განცხადებებს, დაარეგისტრიროს დოკუმენტები საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, გადიხადოს კანონით გათვალსწინებული ნებისმიერი გადასახადი, ხარვეზის არსებობის შემთხვევაში გამოასწოროს ნებისმიერი ხარვეზი და შეასრულოს ნებისიმერი მოქმედება რაც დაკავშირებული იქნება აღნიშნული დავალებების შესასრულებლად.

(4) აგრეთვე იყოს ჩემი წარმომადგენელი საკუთრების უფლების აღიარების კომისიაში, ქონების ლეგალიზაციის კომისიაში, არქიტექტურის სამსახურში, ეკონიმიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში, გამგეობაში, მერიის არქიექტურის სამსახურში, ნებისმიერი მუნიციპალიტეტის (მათ შორის თბილისის) მერიაში, საკრებულოში, ქალაქ თბილისის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურში, ტექინვენტარიზაციის ბიუროს არქივში, არქივში, სანოტარო ბიუროში, ზედამხედველობის სამსახურში, ურბანული განვითარების სამსახურში, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და შესაბამის სამსახურებში, მოახდინოს **შპს „ექსო სამგორი ჰაუზ 2“-ს (ს/ნ 405709853)** მფლობელობაში არსებული ნებისმიერი უძრავი ქონების გამიჯვნა, გაერთიანება, დაყოფა, ფართების დაზუსტება, კორექტირება. მინდობილი პირი უფლებამოსილია მიმნდობის სახელით აწარმოოს მიწის ნაკვეთის საამშენებლოდ გამოყენების პირობებით გათვალისწინებული საქმიანობები, ასევე აწარმოოს განაშენიანების განვითარების, გამწვანების, განაშენიანების რეგულირების გეგმის ან/და განაშენიანების დეტალური გეგმის, განაშენიანების ინტენსიურობის განვითარების გეგმების მიღების პროცედურები, წარადგინოს განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, კომპანიის სახელით აწარმოოს ნებისმიერი სახის მშენებლობა, შეადგინოს პროექტი, შეიტანოს პროექტში ცვლილებები/კორექტირება, მშენებლობა დამთავრებულ შენობა-ნაგებობ(ებ)ა)ზე კომპანიის საკუთრების უფლების რეგისტრაციის მიზნით მინდობილი პირი უფლებამოსილია საჯარო რეესტრში წარადგინოს შენობა-ნაგებობ(ებ)ის ვარგისად აღიარების (ექსპლუატაციაში მიღების) დამადასტურებელი დოკუმენტი და უზრუნველყოს შენობა-ნაგებობ(ებ)ა)ზე კომპანიის საკუთრების უფლების რეგისტრაცია, უზრუნველყოს უძრავ ნივთზე რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებ(ებ)ის რეგისტრაცია, განახორციელოს კომპანიის საკუთრებაში არსებული მშენებარე მრავალბინიან/მრავალერთეულიან უძრავ ნივთ(ებ)ზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია (განშლა), შეცვალოს უძრავი ქონების საკუთრების ტიპი და/ან ნაკვეთის ფუნქცია ან/და მოახდინოს საიდენტიფიკაციო მონაცემების ცვლილება, შეიტანოს უკვე რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილება, საზღვრების დადგენა/კორექტირება, ნომრის მინიჭება, მშენებლობის ნებართვის აღება, განცხადებით მიმართოს ადმინისტრაციულ ორგანოს მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ, როგორც წერილობითი, ასევე ელექტრონული ფორმით უზრუნველყოს შესაბამისი დოკუმენტების წარდგენა, უზრუნველყოს მიწის ნაკვეთის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზ(ებ)ისა და უძრავი ნივთის შიდა აზომვითი ნახაზ(ებ)ის დაკვეთა-მომზადება, ხელი მოაწეროს უძრავი ნივთის საკადასტრო აგეგმვით/აზომვით ნახაზებს, შიდა აზომვით ნახაზებს. შეცვალოს მიწის ნაკვეთის კატეგორია, წითელი ხაზების დადგენა/ რეგისტრაცია, დირექტორის სახელით შეიტანოს განცხადება და მოახდინოს **შპს „ექსო სამგორი ჰაუზ 2“-ს (ს/ნ 405709853)** მფლობელობაში არსებული ნებისმიერი უძრავი ქონების რეგისტრაცია, დაკანონება, ლეგალიზაცია, მშენებლობა დამთავრებული შენობა-ნაგებობ(ებ)ის ექსპლუატაციაში მიღება, ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, მოახდინოს ნებისიერი ხარვეზის ჩასწორება. ასევე კომპანიის სახელით მოიპოვოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებისმიერი სახის რეკლამის განთავსების უფლება და შესაბამისი სარეკლამო ბანერების მიმდობის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქნებაზე ან/და მის პერიმეტრზე განთავსება.

(5) იყოს ჩემი წარმომადგენელი საქართველოს ნებისმიერ ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირის, წყალმომარაგების და დასუფთავების კომპანიაში, ინტერნეტ-პროვაიდერებთან, ნებისმიერ სხვა კომუნალური მომსახურების სამსახურში და კერძო კომპანიებში, შეიყვანოს კომუნიკაციები, დაარეგისტრიროს აბონენტად, დაარეგისტრიროს დროებითი აბონენტი, მიიღოს ნებისმიერი სახის ინფორმაცია, კოდური სიტყვა და სხვა რაც დაკავშირებულია ამ დავალების შესასრულებლად, გადაიხადოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადები, ჩემს მაგივრად მოაწეროს ხელი ხელშეკრულებებს, თანხმობას, გადაწყვეტილებას, დოკუმენტებს და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც საჭირო გახდება აღნიშნული დავალებების შესასრულებლად.

(6) იყოს ჩემი წარმომადგენელი ნებისმიერ საექსპერტო ორგანიზაცია/დაწესებულებაში, მათ შორის **სსიპ ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნულ ცენტრში, იგი უფლებამოსილია დანიშნოს ნებისმიერი**

სახის ექსპერტიზა, გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულება და თავად განსაზღვროს მისი პირობები, მათ შორის ფასი, ხელი მოაწეროს ხელშეკრულებას. ამასთან გამოითხოვოს, ჩააბაროს, მოაწეროს ხელი ყველა საჭირო დოკუმენტს, ჩაიბაროს ექსპერტიზის დასკვნა, ხელი მოაწეროს მიღება-ჩაბარების აქტს და კომპანიის სახელით გადაიხადოს შესაბამისი საფასური.

(7) მინდობილი პირი უფლებამოსილია წარმოადგინოს შპს „ექსო სამგორი ჰაუზ 2“ (ს/ნ 405709853) საქართველოს ადმინისტრაციულ ორგანოსა და ყველა ინსტანციის სასამართლოში, როგორ ადმინისტრაციულ, ასევე სამოქალაქო წარმოებისას, ხელი მოაწეროს სასარჩელო განცხადებას, შესაგებელს, სააპეაციო საჩივარს/შესაგებელს, საკასაციო საჩივარს/შესაგებელს, გაეცნოს საქმის მასალებს, გააკეთოს ამონაწერები ამ მასალებიდან, გადაიღოს ასლები, ჩაიბაროს/დაიბრუნოს საქმის მასალების დედნები, განაცხადოს აცილებანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, მათ შორის, ექსპერტის (საექსპერტო დაწესებულების) დასკვნები, სპეციალისტის ცნობები, მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვას მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, სასამართლოს წინაშე განაცხადოს შუამდგომლობები, მისცეს სასამართლოს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს იმავე ტიპის საქმეზე სხვა სასამართლოს გადაწყვეტილებანი, წარადგინოს თავისი დასკვნები და გამოთქვას მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყოს მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები, გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილებები და განჩინებები, წარადგინოს მორიგების აქტი საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე. ისარგებლოს მხარისთვის სამოქალაქო (ადმინისტრაციული) საპროცესო კოდექსით მინიჭებული ყველა სხვა უფლებით, მათ შორის იმ უფლებებით, რაც გათვალისწინებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლით - უფლებით, სარჩელის აღძვრისა, არბიტრაჟისათვის საქმის გადაცემისა, სასარჩელო მოთხოვნაზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმისა, სარჩელის ცნობისა, სარჩელის საგნის შეცვლისა, მორიგებისა, სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებისა, სააღსრულებო ფურცლის ჩაბარებისა და გადასახდევინებლად წარდგენისა, მიკუთვნებული ქონების ან ფულის მიღებისა.

(8) არავინ არ შეიძლება ეჭქვეშ დააყენოს მინდობილი პირის უფლებამოსილებანი, იმის გამო, რომ წინამდებარე მინდობილობაში მინდობილი პირის უფლებები ამომწურავად არ არის ჩამოთვლილი. მინდობილი პირი უფლებამოსილია შეასრულოს სხვა ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული მინოდილობაში, მაგრამ აუცილებელია მიმდობის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად.

ეს მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს დიანა სვანაძის სანოტარო ბიუროს არქივში.

მინდობილობა გაცემულია განსაზღვრული ვადით - 3 (სამი) წლით და ძალაშია 2028 წლის 08 აპრილის ჩათვლით - მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების სრულად და/ან ნაწილობრივ მესამე პირზე გადანდობის უფლებით.

მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც იანხება სანოტარო ბიუროს არქივში თან ერთვის შემდეგი დოკუმენტი:

1) შპს „ექსო სამგორი ჰაუზ 2“-ს (ს/ნ 405709853) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან განცხადების რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B24067259, 05/06/2024 15:45:36.

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური: 30.00 (ოცდაათი) ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2011წლის 29 დეკემბრის #507 დადგენილების 31-ე მუხლისა, აგრეთვე დღგ: 5.40 (ხუთი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა, პლიუს: 5.00 (ხუთი) ლარი სანოტარო მოქმედების ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური, თანახმად 39-ე მუხლისა, სულ გადახდილია: 40.40 ლარი.

შპს „ექსო სამგორი ჰაუზ 2“-ს (ს/ნ 405709853)დირექტორი -

ლაშა ოქრომჭედლიშვილი ----------

ნოტარიუსი: ---------- / დიანა სვანაძე /

ბეჭდი 2.

